



მოთხოვნა დროებით ღონისძიებებზე¹

(სასამართლო რეგლამენტის 39-ე მუხლი)

სასამართლო რეგლამენტის 39-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია დააწესოს სახელმწიფოსათვის სავალდებულო დროებითი ღონისძიებანი. დროებითი ღონისძიებები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენება.

სასამართლო წევრ სახელმწიფოს მიმართ დროებით ზომებს მხოლოდ მას შემდეგ დააწესებს, რაც განიხილავს ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას და დაასკვნის, რომ ღონისძიების გამოყენების გარეშე, მოსარჩელე დგას სერიოზული და გამოუსწორებელი ზიანის რეალური საფრთხის წინაშე.

მოსარჩელები ან მათი იურიდიული წარმომადგენლები², რომლებიც წარმოადგენენ მოთხოვნას სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის მიხედვით დროებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ, უნდა აკმაყოფილებდნენ ქვემოთმოცემულ მოთხოვნებს.

I. თანმხლები ინფორმაცია

სასამართლოს წინაშე წარდგენილი ნებისმიერი თხოვნა უნდა აყალიბებდეს მიზეზებს. კერძოდ კი, მოსარჩელემ უნდა დეტალურად ახსნას ის მიზეზები, რასაც ეფუძნება მისი შიში, სავარაუდო საფრთხის სახეობა და მიუთითოს კონვენციის იმ დებულებებზე, რომლებიც მისი აზრით დარღვეულ იქნა.

საკმარისი არ გახლავთ მითითება სხვა დოკუმენტებსა თუ ეროვნული საქმის წარმოებისას წამოყენებულ არგუმენტებზე. აუცილებელია, რომ თხოვნას თან ახლდეს დამადასტურებელი დოკუმენტები კერძოდ კი შესაბამისი სასამართლოს, ტრიბუნალისა თუ სხვა ორგანოს გადაწყვეტილებები, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მასალა, რომელიც ამყარებს მოსარჩელის პოზიციას.

არასრული მოთხოვნის წამოყენების შემთხვევაში, არ არის სავალდებულო სასამართლო დაუკავშირდეს მოსარჩელებს. ზოგადად, სასამართლოს არ გამოაქვს განჩინება იმ მოთხოვნებზე, რომელიც არ წარმოადგენს სრულ ინფორმაციას.

როდესაც საქმე უკვე მიღებული სამართალწარმოებაში, აუცილებელია სარჩელის ნომრის მითითება.

საქმეებში, რომელიც ეხება ექსტრადიციასა და დეპორტაციას, მოცემული უნდა იყოს დეტალები გაძევების სავარაუდო თარიღისა და დროის შესახებ, მოსარჩელის მისამართი ან დაკავების ადგილი და მისი საქმის ოფიციალური ნომერი. სასამართლომ უნდა შეიტყოს ზემოთხსენებული ინფორმაციის ნებისმიერი ცვლილების შესახებ უმოკლეს ვადაში (გაძევების თარიღი და დრო, მისამართი, ა.შ.).

სასამართლო უფლებამოსილია განჩინება საქმის მისაღებობის შესახებ მიიღოს დროებითი ღონისძიებების განხილვის დროს.

¹ სასამართლოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული სასამართლოს რეგლამენტი 2003 წლის 5 მარტის ვერსიის 32-ე მუხლის მიხედვით. შესწორებული 2009 წლის 16 ოქტომბერს და 2011 წლის 7 ივლისს.

² აუცილებელია, რომ მოწოდებული იყოს სრული საკონტაქტო ინფორმაცია.

II. ფაქსიმილითა და წერილით ვარდგენილი თხოვნები³

თხოვნა დროებითი ღონისძიებების გატარების შესახებ 39-ე მუხლის მიხედვით უნდა გაიგზავნოს ფაქსიმილით ან ფოსტით. სასამართლო არ განიხილავს ელ-ფოსტით მიღებულ თხოვნებს. შესაძლებლობის შემთხვევაში, თხოვნა უნდა იყოს წარმოდგენილი ხელშემკვრელი მხარეების ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე. ყველა თხოვნაზე საზგასმით უნდა აღინიშნოს თხოვნა:

“Rule 39 – Urgent

საკონტაქტო პირი (სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია):...

[დებორტაციის ან ექსტრადიციის შემთხვევებში]

გაძევების თარიღი და დრო და დანიშნულების ადგილი: ...”

III. თხოვნის წარდგენა ჯეროვან დროს

დროებითი ღონისძიებების შესახებ თხოვნა ზოგადად უნდა იქნას მიღებული საბოლოო ეროვნული გადაწყვეტილებიდან რაც შეიძლება მალე, რათა სასამართლოს მიეცეს საშუალება და სამდივნოს ჰქონდეს საკმარისი დრო საკითხის განსახილველად. სასამართლომ შესაძლებელია ვერ მოახერხოს გაძევების შესახებ თხოვნის განხილვა, თუკი ეს უკანასკნელი მიღებული იქნება დაგეგმილ გაძევებამდე ერთ სამუშაო დღეზე ნაკლებ დროში⁴.

საბოლოო ეროვნული გადაწყვეტილების მოახლოებისა და მექსიერი აღსრულების საფრთხის შემთხვევაში, განსაკუთრებით კი ექტრადიციისა და დებორტაციის შემთხვევებში, მოსარჩელებმა და მათმა წარმომადგენლებმა დროებითი ღონისძიებების შესახებ მოთხოვნა უნდა წარმოადგინონ აღნიშნულ განხილვაზე დალოდების გარეშე, სადაც ნათლად აღნიშნავენ თუ როდის მოხდება მისი მიღება და რომ მოთხოვნა დამოკიდებულია საბოლოო ეროვნული გადაწყვეტილების ნეგატიურ პასუხზე.

IV. ეროვნული ღონისძიებანი შეემაკავებელი შედეგით

სასამართლო არ გახლავთ ეროვნული სასამართლოების სააპელაციო ინსტანცია. მანამდე სანამ მოხდება სასამართლოს წინაშე დროებითი ღონისძიებების დაწესების მოთხოვნის წარდგენა, მოსარჩელებმა ექსტრადიციისა და გაძევების შემთხვევაში უნდა მიმართონ ეროვნულ საშუალებებს, რომელთაც ხელეწიფებათ გაძევების შეჩერება. იმ შემთხვევებში, როდესაც მოსარჩელე არ მიმართავს იმ ეროვნულ საშუალებებს, რომელსაც შესაძლებელია ჰქონდეს შემაკავებელი ეფექტი, სასამართლო არ გამოიყენებს 39-ე წესს გაძევების თავიდან ასაცილებლად.

V. დროებითი ღონისძიებების წარდგენის შემდგომი ეტაპი

მოსარჩელები, რომლებიც 39-ე მუხლის საფუძველზე ითხოვენ დროებით ღონისძიებებს, უნდა უზრუნველყონ სასამართლოს სამდივნოს მიერ გამოგზავნილ კორესპოდენციაზე პასუხის გაცემა. კერძოდ კი, როდესაც ხდება ღონისძიებაზე უარის თქმა მათ უნდა შეატყობინონ სასამართლოს თუ რამდენად სურთ სარჩელის ბოლომდე მიყოლა. ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება ღონისძიების გამოყენება, მათ რეგულარულად და დაყოვნების გარეშე უნდა შეატყობინონ მიმდინარე ეროვნული საქმის წარმოების ეტაპის შესახებ. ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, საქმე შესაძლებელია ამოღებულ იქნას სასამართლოს საქმეთა სიიდან.

³ იმის მიხედვით თუ რამდენად სასწრაფოა საქმე და იმის გათვალისწინებით, რომ წერილით წარდგენილი მოთხოვნა არ უნდა გაიგზავნოს სტანდარტული ფოსტით.

⁴ იმ საჯარო და სხვა დასვენების დღეების შესახებ, როდესაც ისვენებს სამდივნო, იხილეთ სასამართლოს ინტერნეტ გვერდი: <http://www.echr.coe.int/contact/fr>